



შპს ექსიმ შიპინგ თრეიდინგ & აგრო კო-ს

ს\კ 406222608

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართული ლარი
აქტივები:

შენიშვნა

31.12.2021 31.12.2020

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	3.1	390 537	33 398
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3.2	50 704	218 074
მარაგი	3.3	20 280	550 644
სულ მოკლევადიანი აქტივები		461 521	802 116

ძირითადი საშუალებები	3.4	42 817	57 560
სულ აქტივები		504 338	859 676

ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3.5	21 131	523 614
მიღებული ავანსები		17 221	25 181
საგადასახადო ვალდებულებები		11 443	612
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		49 795	549 407

საწესდებო კაპიტალი		215 000	215 000
გაუნაწილებელი მოგება		239 543	95 269
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		454 543	310 269






მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების
ინდივიდუალური ანგარიშგება

ქართული ლარი

შენიშვნა

31.12.2021

31.12.2020

ნეტო ამონაგები	3.6	3248261	2324091
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	3.6	(2370489)	(1103733)

საერთო მოგება

877772

1220358

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	3.7	(266300)	(905895)
სხვა საოპერაციო ხარჯები	3.8	(152239)	0

საოპერაციო (ზარალი)\მოგება

459233

314463

სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	3.9	8631	0
სხვა არასაოპერაციო ხარჯები		0	0
კურსთაშორის სხვაობა		(5324)	(39127)

(ზარალი)\მოგება მოგების გადასახადით
დაბეგვრამდე

462540

275336

მოგების გადასახადის ხარჯი		(47740)	0
---------------------------	--	---------	---

სულ წლის (ზარალი)\მოგება

414800

275336




კაპიტალში ცვლილებების შესახებ ინდივიდუალური
ანგარიშგება

ლარი

საწესდებო კაპიტალი	2019 წლის ბოლოს სულ საკუთარი კაპიტალი	2020 წლის დაგროვილი მოგება	2020 წლის ბოლოს სულ საკუთარი კაპიტალი
215000	34933	275336	310269

საწესდებო კაპიტალი	2020 წლის სულ საკუთარი კაპიტალი	2021 წელ დაგროვილი მოგება	2021 წელს გაცემული დვიდენდი	სულ საკუთარი კაპიტალი
215000	310269	414800	(270526)	454543



ფულადი სახსრების მოძრაობის ინდივიდუალური
ანგარიშგება

ლარი

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან

31.12.2021

31.12.2020

მყიდველებისგან მიღებული ფულადი სახსრები	3810224	3794081
გადახდილი სავაჭრო და სხვა მიმდინარე ვალდებულებები	(3343218)	(3695287)
გადახდილი გადასახადები	(236203)	(77414)
საქვეანგარიშოდ გაცემული თანხის სალაროში დაბრუნება	130129	0
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	33398	76707
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	394330	98087

ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:

ფულადი სახსრების გასვლა გრძელვადიანი აქტივების გასაუმჯებესებლად	(7100)	(25562)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(7100)	(25562)

ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა ფულადი სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	3307	(39127)
კურსთა შორის სხვაობა	3307	(39127)

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის ბოლოსთვის


390537

33398



1. ზოგადი ინფორმაცია

- 1.1. შპს ექსიმ შიპინგ ტრეიდინგ & აგრო კო-ს თბილისი“ რეგისტრირებულია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 2017 წლის 14 სექტემბერს. კომპანიის ფაქტიური მისამართია: საქართველო, მარნეულის რაიონი, ჯანდარის დასახლება და იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, ბერი გაბრიელ სალოსის შესბ№.
- 1.2. კომპანიის აღმასრულებელი დირექტორია აზერბაიჯანის მოქალაქე ფიკრატ სალიმოვ.
- 1.3. კომპანიას ამჟამად ჰყავს ორი პარტნიორი ფიკრად სალიმოვ 35% და სალიმა შაჰბაზოვა 65% .
- 1.4. კომპანიას გამოცხადებული და შევსებული კაპიტალი არის 215000 ლარი (ორას თხუთმეტი ათასი).
- 1.5. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს :
- დასაწყობება და შენახვა
 - შეფუთვის საქმიანობები
 - საკუთარი ან იჯარით აღებული უძრავი ქონების გაქირავება და მართვის სხვა საქმიანობები
 - დამხმარე საქმიანობის სახეები სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანის დარგში
 - საბითუმო ვაჭრობა მინერალური სასუქებით და აგროქიმიური პროდუქტებით
- 1.6. კომპანია ჩართულია გადასახადის გადამხდელთა ერთიან სახელმწიფო რეესტრში და მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო კოდი 406222608. საზოგადოება არის დღგ-ს გადამხდელი
- 1.7. 2021 წლის მდგომარეობით, კომპანიის დაქირავებულ თანამშრომელთა საშუა რიცხოვნობა შეადგენდა 14 კაცს.



2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, 2021 წელს კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა- ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

- **შემოსავლების აღიარება**

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

- **საექვო მოთხოვნების აღიარება**

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების

ანარიცხის შექმნა, ან დებიტორული დავალიანების უფრო ადრე აღიარება საექვო მოთხოვნად.



- გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება სამუშაო ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. ასევე ზოგჯერ მიღებული და გაცემული თანხები კონვერტირდება საქართველოს ბანკისა და თბს ბანკის გაყიდვის კურსით ტრანზაქციის განხორციელების დღის მიხედვით

- მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწრა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

- ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

- გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტი მოიცავს ნასყიდობის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

ბ) ძირითადი საშუალებები თავდაპირველი აღიარების შემდეგ, აღირიცხება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთის და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით. შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში, ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა და შეფასება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში, მოგება-ზარალში ასახვით.

გ) ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად.

დ) ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში მათი ცვეთადი ღირებულების სისტემატურ საფუძველზე გასანაწილებლად



შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვადასხვა მეთოდი. ცვეთის დასაშვები მეთოდებია: წრფივი მეთოდი, კლებადი ნაშთის მეთოდი და მეთოდი, რომელიც ეყრდნობა აქტივის მოსალოდნელ გამოყენებას, როგორცაა წარმოებულ ერთეულთა მეთოდი. კომპანია იყენებს ცვეთის დარიცხვის წრფივ მეთოდს.

ცვეთის გამოთვლა წარმოებს იმგვარად, რომ განხორციელდეს აქტივის თვითღირებულებასა და ნარჩენ ღირებულებას შორის სხვაობის ჩამოწერა, მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში შემდეგნაირად:

ჯგუფი

სასარგებლო მომსახურების ვადა


კავშირგაბმულობის საშუალებები	5 წელი
ავეჯი და ინვენტარი	5 წელი
ოფისის აღჭურვილობა	5 წელი
კომპიუტერული ტექნიკა	5 წელი
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	5-დან 10 წლამდე

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო მომსახურების ვადის, ნარჩენი ღირებულების და ცვეთის მეთოდების გადახედვა. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ბოლო წლიური საანგარიშო თარიღის შემდეგ მნიშვნელოვნად შეიცვალა ამა თუ იმ აქტივიდან მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებლის გამოყენების ხასიათი, საწარმომ უნდა გაანალიზოს ცვეთის არსებული მეთოდი და იმ შემთხვევაში, თუმცა მიმდინარე პერიოდის მოლოდინები განსხვავებულია, საწარმომ უნდა შეცვალოს აქტივის ცვეთის მეთოდი, აქტივის მოხმარების ახალი სტრუქტურის ასახვის მიზნით. აღნიშნული ცვლილება აისახება, როგორც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილება.

თუ არსებობს გაუფასურების კომპონენტები, აქტივის საბალანსო ღირებულება უნდა შემცირდეს მის ანაზღაურებად ღირებულებამდე დაუყოვნებლივ. თუ მოცემული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს.

ძირითადი საშუალებების აღიარება წყდება მისი გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში; ან როდესაც მისი გამოყენებიდან ან გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი.

საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი უნდა ასახოს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც მისი აღიარება წყდება. საწარმომ ასეთი სახის შემოსულობას არ უნდა მიანიჭოს ამონაგების კლასიფიკაცია.



- **ვალდებულების აღიარების შეწყვეტა**

ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების, გაუქმების, ან ამოწურვის შემთხვევაში. როდესაც არსებული ფინანსური ვალდებულება ჩანაცვლდება სხვა ვალდებულებით იმავე კრედიტორის წინაშე, არსებითად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობების მნიშვნელოვანი ცვლილების შემთხვევაში. ასეთი ჩანაცვლება, ან ცვლილება მიჩნეულ უნდა იქნეს საწყისი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად, ხოლო სხვაობა შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის აისახება მოგებაში ან ზარალში.

- **სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება**

სავაჭრო კრედიტორული დავალიანების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტი ასრულებს თავის მოვალეობებს ხელშეკრულების ფარგლებში, იგი თავდაპირველად საწყისი ღირებულებით აღიარდება, შემდეგ კი აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. სავაჭრო კრედიტორული დავალიანებები უზრუნველყოფილია და უმეტესად მათი დაფარვის ვადა შეადგენს აღიარების მომენტიდან არაუმეტეს 30 დღეს.

- **სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება**


სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები არის ბიზნესის ძირითადი საქმიანობის შედეგად მომხმარებლისგან მისაღები თანხები. ზოგადად, როცა მათი დაფარვის ვადა შედგენს არაუმეტეს 30 დღეს, შესაბამისად კლასიფიცირდება მოკლევადიან აქტივებად. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასის ოდენობით, რომელიც უპირობოა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ისინი მოიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტებს, როდესაც მათი აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით. კომპანია ფლობს სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებებს იმ მიზნით, რომ მომავალში მიიღოს კონტრაქტით გათვალისწინებული ფულადი ნაკადები.

- **შემოსავლის და ხარჯის აღიარება**

შემოსავლების და ხარჯის აღიარებისთვის კომპანია იყენებს დარიცხვის მეთოდს.

- **შემოსავლის აღიარება**

შემოსავლების ასახვა ხორციელდება იმ შემთხვევაში, როდესაც კომპანიაში ეკონომიკური სარგებლის შემოდინების ალბათობა მაღალია. ამასთან, შესაძლებელია შემოსავლების სანდო შეფასება მიუხედავად იმისა, თუ როდის განხორციელდება გადახდა. შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული, ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, გადახდის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების გათვალისწინებით და გადასახადებისა და მოსაკრებლების გამოკლებით.



• **ხარჯის აღიარება**

მოგება—ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება, თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან, ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯების აღიარება ხდება უშუალოდ მის გაწევასთან დაკავშირებული შემოსავლების შეპირისპირების საფუძველზე.

• **საწესდებო კაპიტალი**

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია წესდებით და აღიარდება დამფუძნებლის შენატანის რეალური ღირებულებით.

2.5. გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში (2023 წლის 1 იანვრიდან). კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად. ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები. 2017-2021 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.



[Handwritten signature in blue ink]

2.6. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის სამუშაო ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.7. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=3.2766 ლარი; 1 EUR=4.0233 ლარი.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=3.0976 ლარი; 1 EUR=3.5040 ლარი.





3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი
შენიშვნები

3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები:

ლარი

	31.12.2021	31.12.2020
ნაღდი ფული საღაროში	130129	0
ფულადი სახსრები საბანკო ანგარიშზე	260408	33398
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	390537	33398

3.2. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები:

ლარი

	31.12.2021	31.12.2020
სავაჭრო მოთხოვნები	49209	30005
გაცემული ავანსები	1495	6443
მოთხოვნები საწარმოს ფერსონალის მიმართ	0	130386
სხვა მოთხოვნები	0	51240
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	50704	218074

3.3. მარაგები:

ლარი

	31.12.2021	31.12.2020
გასაყიდად გამიზნული საქონელი	17964	548598
სხვა მარაგები	2316	2046
სულ მარაგები	20280	550644



3.4. ძირითადი საშუალებები:

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ლარი

თვითღირებულება ან ნარჩენი ღირებულება	შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები და მოწყობილობები	ოფისის აღჭურვილობა, ავტო და ინვენტარი
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3297	54263	0
შესყიდვები	0	0	3093
2021 წლის ცვეთის ხარჯი	(1670)	(15980)	(186)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1627	38283	2907

3.5. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები:

ლარი

	31.12.2021	31.12.2020
სავაჭრო ვალდებულებები	0	480286
საიჯარო ვალდებულებები	6400	43328
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	14731	0
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	21131	523614

3.6. ამონაგები და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

ლარი

	31.12.2021	31.12.2020
ამონაგები საქონლის გაყიდვიდან	2868947	1478940
ამონაგები მომსახურების გაწევიდან	379314	845151
რეალიზებული მარაგების თვითღირებულება	(2370489)	(1103733)
სულ ამონაგები და რეალიზებული საქონლის ღირებულება	877772	1220538

რეალიზებული საქონლის თვითღირებულება დათვლილია საშუალო შეწონილი ფასების მეთოდის გამოყენებით.



3.7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

ლარი

	31.12.2021	31.12.2020
ხელფასის ხარჯი	159375	410864
დაზღვევის ხარჯი	145	5732
საოფისე ხარჯი	141	790
კომუნალური მომსახურების ხარჯი	12708	143232
კომუნიკაციის ხარჯი	1730	7389
იჯარის ხარჯი	65085	246556
საბანკო ხარჯი	1578	2484
ცვეთა და ამორტიზაცია	17836	34084
რემონტის ხარჯი	7100	53202
საგადასახადო ხარჯი	602	1562
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	266300	905895

3.8. სულ სხვა საოპერაციო ხარჯები

ლარი


	31.12.2021	31.12.2020
ხარჯი სავაჭრო მოთხოვნებიდან	148715	0
365 დღეზე მეტი უიმედო ვალი	3524	0
სულ სხვა საოპერაციო ხარჯები:	152239	0

3.9. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი

ლარი

	31.12.2021	31.12.2020
ვალდებულების ჩამოწერით ან პატივით მიღებული შემოსავალი	8631	0
სულ სხვა არასაოპერაციო შემოსავლები:	8631	0





3.10. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და გამოსაქვეყნებლად ნებადართულია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2022 წლის 20 სექტემბერს.

3.11. გაცემული დივიდენდები:

ლარი

	31.12.2021	31.12.2020
ფიკრატ სალიმოვ 35%	94684	0
სალიმა შაჰბაზოვა 65%	175842	0
სულ გაცემული დივიდენდი	270526	0

დირექტორი : ფიკრატ სალიმოვ

